ქეთევან კოტეტიშვილი

სამოქმედო გეგმა 2019-2023 წელი

სამოქმედო გეგმა შეძლება გაიწეროს ეტაპების მიხედვით

1.უახლოესი ეტაპი

ფაკულტეტზე არსებული უკვე ABET აკრედიტაციისათვის წარდგენილი 3 პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია.

ამისათვის საჭიროა მაქსიმალური მობილიზაცია და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და საინიციატივო ჯგუფთან ტრენინგის ჩატარება,რათა კიდევ ერთხელ იყოს გავლილი სტანდარტის ყველა ნიუანსი

2. 2 თვის ვადაში უნდა დაიდოს ფაკულტეტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმატიკის პროგრამა. რათა მაქსიმუმ 1 თვე იყოს იმისათვის რომ ხარვეზების გამოსწორება მოხდეს და იანვარში პროგრამა გაიგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3.ამავე პერიოდისათვის განხილული იყოს ყველა ის პროგრამა რომელსაც წარმოადგენს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და პროგრამის აქტუალობის და ხარისხის მიხედვით მოხდეს შესაბამისი ახალი პროგრამების წარდგენა.

2.მეორე ეტაპი

1.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროგრამებით სტუდენტების და უნივერსიტეტის უზრუნველყოფა. მოგეხსენებათ მსგავსი პროგრამები აქტიურად იხსნება სხვა უნივერსიტეტებში,თუმცაღა ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის პირველი იყო ამ მიმართულებით.

2.ხარისხის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში. ამ კვლევებში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული როგორც დოქტორანტები და მაგისტრანტები, ასევე ბაკალავრებიც.

3.უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტთა ჩართულობა უცხოეთის კვლევით ცენტრებში მიმდინარე პროექტებში და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში განსაკუთრებით უნდა გაძლერდეს ინტერნაციონალიზაციის ასპექტები.

4.ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები უცხოეთის წამყვან კვლევით ცენტრებთან.

5.როგორც ცნობილია პროგრამების უმრავლესობას აკრედიტაციის ვადა გაგრძელებული აქვს 2021 წლის 1 იანვრამდე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროგრამები უნდა წარვადგინოთ 2020 წლის დეკემბერში.ყველა ასეთი პროგრამა,იქნება ეს საბაკალავრო, სამაგისტრო თუ

სადოქტორო წარდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 თებერვლის ჩათვლით.

პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ, რათა მათ მიერ განხორციელებული პროგრამა მაქსიმალურად ახლდებოდეს, ეს აუცილებელია თანამედროვე მზარდი ტექნოლოგიების პირობებში. ეს შეეხება როგორც საგნებს და შესაბამის სილაბუსებს,ასევე ლიტერატურას;

პროგრამის ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად იზრუნონ, რომ სტუდენტი, რომელიც სწავლობს ამ პროგრამაზე გავიდეს მაქსიმალურ შედეგზე;

უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ხარისხი.